სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

ქ. თბილისი 09 თებერვალი, 2023 წელი

სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 08 თებერვლის N143550 ბრძანების საფუძველზე შექმნილი სატენდერო კომისიის

სხდომის

ოქმი №1

სხდომას ესწრებოდნენ:

დავით ხვედელიძე - სატენდერო კომისიის თავმჯდომარე, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;

როსტომ თოლორდავა - სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის მთავარი ბუღალტერი;

ია ძებისაური – სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვ-ნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის უფროსი;

ნიკო გიგოლაშვილი – სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის შესყიდვების ჯგუფის უფროსი.

ირაკლი რობაქიძე – სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის ლოჯისტიკის ჯგუფის უფროსი.

ზურაბ ხეცურიანი – სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის შესყიდვების მენეჯერი.

დღის წესრიგი:

1. სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა და დამტკიცება;

2. ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე (NAT) ჩატარების შესახებ განცხადების ტექსტის დამტკიცება.

განიხილეს:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა სატენდერო კომისიის აპარატის მიერ მომზადებული, სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისთვის 10000 (ათი ათასი) ცალი სერთიფიკატის/სიგელის ბეჭდვისა და ადგილზე მიწოდების ***(79823000 - ბეჭდვა და ადგილზე მიწოდება)*** სახელმწიფო შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაცია.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონულ სისტემაში და ასევე სხვადასხვა საიტების მეშვეობით მოძიებულ იქნა კომპანიები ვისაც შესაძლოა ინტერესი გამოეხატა აღნიშნულ შესყიდვასთან დაკავშირებით. ათი შესაძლო პოტენციურ მომწოდებელს გაეგზავნა კვლევაში მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით შესაბამისი წერილი და შესასყიდი მომსახურების ამსახველი დოკუმენტაცია. საბოლოოდ ბაზრის კვლევისას დაინტერესება გამოხატა სამმა პოტენციურმა მიმწოდებელმა, რომლებმაც წარმოადგინეს შემდეგი ფასები:

1) პოტენციური მიმწოდებელი 1 – 12000 (თორმეტიათასი) ლარი დღგ-ს გარეშე.
2) პოტენციური მიმწოდებელი 2 – 6000 (ექვსიათასი) ლარი დღგ-ს გარეშე.
3) პოტენციური მიმწოდებელი 3 – 6000 (ექვსიათასი) ლარი დღგ-ს გარეშე.

შესაბამისად სატენდერო კომისიამ იხელმძღვანელა პოტენციური მიმწოდებელი 2-ის მიერ მოწოდებული ფასით და განისაზღვრა ტენდერის საორიენტაციო ღირებულება 6000 (ექვსიათასი) ლარი, დღგ-ს გარეშე.

აზრი გამოთქვეს:
სატენდერო კომისიის წევრებმა, რომლებმაც აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი სახით სატენდერო განცხადება და დოკუმენტაცია მისაღებია.

კომისიამ დაადგინა:
1. დამტკიცდეს წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაცია და განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ.
2. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს, ორი სამუშაო დღის ვადაში სატენდერო განცხადების და დოკუმენტაციის განთავსების უზრუნველყოფა www.procurement.gov.ge-ზე.

კომისიის თავმჯდომარე:	დავით ხვედელიძე -
კომისიის წევრები:	ია ძებისაური -
	როსტომ თოლორდავა -
	ნიკო გიგოლაშვილი -
	ირაკლი რობაქიძე -
კომისიის აპარატის წევრი:	ზურაბ ხეცურიანი -